საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების
მარეგულირებელი ეროვნული კომისია

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა N38/1

2021 წლის 2 სექტემბერი ქ. თბილისი

**ელექტროენერგიის განაწილების მომსახურების ხელშეკრულების სტანდარტული პირობების
დამტკიცების შესახებ**

„ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე და 74-ე მუხლების, კომისიის 2021 წლის 28 ივნისის N19 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერგიის გამანაწილებელი ქსელის წესების“ მე-40 მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-56-ე მუხლების საფუძველზე, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. დამტკიცდეს:

ა) ელექტროენერგიის განაწილების მომსახურების ხელშეკრულების სტანდარტული პირობები;

ბ) ,,განაწილების მომსახურების ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებზე მიერთების მოთხოვნის შესახებ“ განაცხადის ფორმა;

გ) ,,არასტანდარტული პირობებით განაწილების მომსახურების ხელშეკრულების გაფორმების მოთხოვნის შესახებ“ განაცხადის ფორმა;

დ) განაწილების მომსახურების ხელშეკრულების სტანდარტული ფორმა;

2. დაევალოს ელექტროენერგიის გამანაწილებელი სისტემის ოპერატორებს ამ გადაწყვეტილების პირველი პუნქტით დამტკიცებული ელექტროენერგიის განაწილების მომსახურების ხელშეკრულების სტანდარტული პირობებისა და განაცხადის ფორმების თავის ვებგვერდზე გამოქვეყნება.

3. გადაწყვეტილება ძალაშია კომისიის საჯარო სხდომაზე გამოცხადების დღიდან.

4. დაევალოს კომისიის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს ამ გადაწყვეტილების კომისიის ვებგვერდზე განთავსება.

5. გადაწყვეტილება საჩივრდება დაინტერესებული მხარეებისათვის ჩაბარებიდან 1 თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: დავით აღმაშენებლის ხეივანი, N64).

6. კონტროლი გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს კომისიის რეგულირების განვითარებისა და მეთოდოლოგიური უზრუნველყოფის დეპარტამენტს.

დავით ნარმანია

კომისიის თავმჯდომარე

მაია მელიქიძე

კომისიის წევრი

გიორგი ფრუიძე

კომისიის წევრი

გოჩა შონია

კომისიის წევრი

გიორგი ფანგანი

კომისიის წევრი